20 აპრილი 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 40 ყოველკვირეული ჟურნალი № 40

რუსეთის გამოჩენილი მწერლები



ივანე ტურგენევი
გარდაცვლებიდგან 25 წლის გამო.
(დაიბადა 1818 წ. 28 ოქტ. გარდ. 1883 წ. 22 აგვ.).



ლეონიდ ანდრეევი
ათი წლის იუბილეს გამო.
(დაიბ და 1871 წ., წერა დაიწყო 1898 წ.)

მკითხველების წერილები.

საჭორაო განმარტება.

ამხანაგო რედაქტორო! ამ თავითვე გაგაფრთხილებ, რომ ჩემი მიმართვა სიტყვა „ამხანაგი“ არ მოგეწონება, რადგან ჩვენ ებურმა „ეფხანიკებმა“ ისე შელახეს და შებღალეს ეს დიდებული სიტყვა კეთილშეფეული მეძრაობისაგან შემოდებული, მარა რაც უნდა დამახინჯდეს მახინჯების საქციელით ესა თუ ის სიტყვა, სიტყვა მაინც თავის დიდ მნიშვნელობას არა ჭკარგავს. ჭოდა, ამხანაგო რედაქტორო, ჩვენ შეგნებული მუშები, რომ ლოთაც ჯერ კიდევ დვთისით არ ამოგვიშლია გულისა და გონებისაგან დიერ შესაფერი სიყვარული და ბატივისცემა ჩვენი ეროვნებისა და მიწა-წყლისადმი, გაფაციცებით ვადევნებთ თვალყურს თქვენსა და ესდეკების შორის ატეხილ დავას... იქნება თქვენ ეგ დავა არცკი მიგაჩნდეთ დავად, ჩვენ კი გამოგიტყდებით ეს დავა ერთ უდიდეს დავად მიგვაჩნია, ისეთ დავად, რომელსაც შედეგათ და ნაყოფად უნდა მოყვეს სრული განთავისუფლება იმ სქელის ბურუსისა, რომელიც კარგახანია გარს ახვევია ჟველა ქართველ მშრომელ ხალხს და რომლის გამოსობით ცხვირის სიახლოვეს ვერ ვამჩნევთ ერთმანერთს, ვერ ვხედავთ და ვერა ვცნობთ გვერდში ამოდგარ მტრებს თუ მოყვარეთ...

ჩვენებური მარქსისტების გაზეთებში და ბევრნი აქაური ესდეკებიც გვარწმუნებენ, რომ თქვენგან ატეხილი დავა, ან როგორც თქვენ თვითონ უწოდებთ თქვენს ჟურნალში, „მხილება“ გამ წვეულია შავრაზმულისა და ბრეოკატურული მისწრაფებისაო... რა ვიცით, იქნებ ასეც იყოს. მაგრამ ეს ასეთი ეჭვი, მარა რაგორც არ გვჯერა, რომ მწერალი და მოდვაწე, რომელიც მრავალის წლობით სხვა და სხვა საზოგადო საქმეში იყო ჩაბმული და დღემდე ბროგრესიული მუშაკად ითვლებოდა და რომელიც უფრო მეტად მუშა, სწორედ მუშა ხალხისთვის ცდილობდა შეგნებასა და გათვითცნობიერებას და მოგვიგონებთ თქვენს იაფ-ფასიანი სასალსო გაზეთის „ცნობის ფურცლის“ გამოცემას, თქვენს „საქართველოს კალენდრებს“ რომელთაც ბევრი ბოზულიარული ცნობა შეაწყოდა მდაბიო მკითხველების სოფლად თუ ქალაქად, თქვენ „ეფ-ფასიანი“ წარმოდგენები და ხალხისთვის შერჩეული ბიესები და ბევრი კიდევ სხვა; ეოველივე ეს თავლწინ გვიდგა და არა გვჯერა, რომ ბროგოკატორობას ეწოდეთ და განმათავისუფლებელ მოძრაობას ებრძოდეთ! ჩვენ თუ ეს არა გვჯერა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ გულ-ხელ დაკრეფილი იყოთ და არ განთავისტოთ ის მტერული ეჭვიც კი, რომელიც ებადება „ესდეკური“ გამოცემათა მკითხველებს. იმით კი ნუ ინუგეშებთ თავს, რომ „ვინც მიცნობს არ დაიჯერებსო“... მართალია ბევრნი გიცნობენ, უფრო ბევრნიც თანაგიგრძნობენ, რაც დამტკიცდა თქვენის ავადმოფოობის დროს შარშან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც არ გიცნობენ... ამიტომ ამ ბევრ „ფაქტებს“, რომელთაც ჭეშმარიტად თქვენს ჟურნალში, წარუმზდავრეთ შესაფერი განმარტებაც... ბერალად მე და ჩემს თანამოაზრეთ გვწყინს ის მტერი, მაგრამ სასიამოვნოა შენიშვნა, რომელიც „მერცხალში“ იყო დაბეჭდილი სხოლოდ, რომ რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ორი მაგალითი იყო, როცა გენერალ-გუბერნატორისაგან დაჯარიმებული რედაქტორი გასთავისუფლესო: თავადი უსტომსკი „პეტერბურ. ვედომოს.“ რედაქტორი და ვალერიან გუნია „ნიშადურის“ და „ისარის“ რედაქტორიო!... ეს შენიშვნა განმარტებას თხოულობს და რატომ დღემდე ამას არ იღებთ ამ ეჭვის გასაბათილებლად?! ჭო და ასე, ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი უცვლელად დამბეჭდოთ და მით დამტკიცოთ, რომ მიუდგომლობა სიტყვით კი ა ა სქმითაც გიყვართ. ეს წერილი სა ეთოთ შევადგინეთ და წაგიკითხეთ და მისი ბერი ჩვენ გვანახვებ.

შეგნებული ბუშების მონდობილობით **მუშა პავლე**

ჩვენი განმარტებაც

არა თუ შეგნებული და დაკვირვებული, არამედ უბრალო და ზერელად მსჯელი მკითხველიც კი მიხვდება, რომ ამ ჟამად ჩვენებური მარქსისტების ბანაკში საქმე ცოტა არ იყოს „აბრანძულია“.

უეჭველია, რალაც მოხდა, რალაც დაირღვა, რალაც გაიბზარა და გატყდა...

მართლაც, თუ აუჩქარებლივ და პირუთვნელად გავშინჯავთ და დავაფასებთ ესდეკების ნაწერნალაპარაკევს და თუ ყოველსავე მათს საქმეს და ნამოქმედარს შესაფერ სახელს ვუწოდებთ, მაშინ ყოველსავე ეჭვს გარეშე და ცხად იქნება, რომ ქართველ მარქსისტების პარტია მეტად მძიმე და საშიშ კრიზისს განიცდის...

ამ კრიზისს შეიძლება მეტად ცუდი და მათვის არა სასურველი შედეგი მოყვეს, ხოლო ესეც შესაძლოა, რომ ამ კრიზისმა მთელი პარტია გამოაფხიზლოს, გონს მოიყვანოს და განწმენდილ-განსპეტაკებული განახლებულსა და მართებულ გზას დააყენოს...

ჩვენმა მხილებამ, მათს უკულმართობის კვალდა-კვალ მიდევნამ საკმაოდ დასძრა და შეარყია ის ხელოვნურად მოჭახრაკებული „უბიწობა“ და „უცოდველობა“ რომლის წყალობით რაერთიხანია ამ პარტიის იდეოლოგ-ბელადები უკანტროლოდ დანავარდობდნენ ქართველ ხალხის გულსა და გონებაში, თავხედურათ დათარეშობდნენ მდაბიოთა—განსაკუთრებით მუშებისა და გლეხების რწმენისა, სინდისისა და ჯიბე-უბეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის აურ-ზაური და ოროომტრიალი, ის ყოველ-სავე უკიდურეს წრეს გადასული კილო მათის წერა-კამათისა, ის გაბრაზებული და გამწარებული პასუხები, ის უდიერობა და ყალთაბანდობა, ის პოლემიკური ქამანდები და ოინები, რომელთაც ისინი ხმარობენ ჩვენს საწინააღმდეგოდ, ჩვენდა შესაბღალავად და ჩვენ მიერ წამოყენებულ ფაქტების გასაქარწყლებლად აშკარად მოწმობს მა ი სული სიმშვიდეს შერყევას, მათ ზნეობრივ დაშარცხებას და იუდასებურ შიშსა და თრთოლვას...

კარგად ცნობილია დამნაშავეთა ფსიხოლოგია: **Юпитеръ, ты сердишься, значитъ не правъ.**

ჟურნალისტიკის საგანი იმ თავითვე დღევანდლამდე ერთი იყო—მხილება, მხილება და მხილება. ყოველივე რაც გონჯი და დუხჭირია ცხოვრებაში უნდა დაიგმოს, ყოველივე, რაც სიცრუისა და სიყალბის ბურუსშია გახვეული ნათელი უნდა მოეფინოს, მიუხედავად იმისა ეწყინება ვისმე თუ ეტკინება ეს მართებული მხილება.

ჩვენ ვამჩნევთ, ვატყობთ და ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში უწესოებას, ურიგობას, უკუღმართობას, მავნებლობას და ჩვენ მოვალენი ვართ აღვნიშნოთ იგი და შესაფერი სახელით მოვნათლოთ, შესაფერი მსჯავრი დავსდოთ. ეს თუ დანაშაულობად ჩაითვლება, მაშინ რა საჭიროა ან ჟურნალ-გაზეთი, ან მართებული გულის წყრომა, ან მოქალაქობრივი გრძნობა, ან ადამიანური სიფაქიზე და კაცური კაცობა?!

გაიძახიან: „ეს დრო, ეს ხ ნა შეუფერებელი არის ამგვარ მხილებისთვისო“. ეგ სიცრუეა და უზნეობაც. ტყუილად კი არ ამბობენ რუსები: **дураковъ и въ алтарѣ бьютъ-ო.** თუ აშავებ, იმდენი ვაჟკაცობა მაინც იქონიე, რომ თუ სასჯელი არა, საყვედური მაინც იკისრო...

ხოლო თუ „შეუფერებელ დროთ“ ის მიგაჩნიათ, რომ ეხლა თქვენი ბრძანებლობისა და დიქტატორის ხანა აღარ არის, როცა მებრძოლ „სოციალისტების“ პარტია თავიანთ ორგანოს მეტს სხვა ბეჭდურ სიტყვას არ აჭაჭანებდა, დაგვეთანხმეთ, ესეც უკ-დურესი უკუღმართობის და თავხედობის ნიმუშია და ნურას უკაცრავად თუ ასეთს თქვენთვის „შეუფერებელ დროს“ პატივს არ დავდევთ და პირს წყლით არ ავივსებთ. სათქმელი უნდა ითქვას, დაჩირქებული ადგილი უნდა გამოირწყოს

მართალია, ფრანგული ანდაზა ამბობს: „არ ხამს თოკზე ლაპარაკი იმ ოჯახში, სადაც ჩამომლვრ-ჩვალი გეგულებოდესო“, მაგრამ ეს ხომ გადაჭარბებული ფრ-ნგული თავაზიანობაა...

მუშა პავლეს წერილი ერთობ ორჭოფი ხასიათისაა: თანაც სჯერა და სწამს ჩვენი სიმართლე და თანაც ეჭვი ებადება... ბევრს რასმე ეტყვიან, სწერენ შენზეო და მართლა შავრაზმელი ხომ არა ხარო...

ბატონო პავლე, რა ვიცოთ რომ ათასი შუბლ გარეცხილი და უსინიდისო მოკამათე ჩვენს ჩასაჩუმებლად პირად დასამცირებლად და დასამარცხებლად ჭუჭყისა და ლაფის გუნდებს გვესვრიან, ჭორისა და ლაფის ტლაპოში გვიპირობენ ჩაღრჩობას!.. განა თქვენ, თუ ოდნავ მაინც განვითარებული გრძნობა-გონება შეგწევთ, არ ატყობთ, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეთა ლანძღვა-გინების ლექსიკონი ისეთის თვისები აა, რომ იმათ სიმართლის გამოაშკარავება კი არა, უფრო ჩვენი პიროვნების შებღალვა და გათახსირება აინტერესებთ.

რაც შეეხება „მერცხლის“ შენიშვნას, რომ ჩვენ აგვცდა ღენერალ-გუბერნატორის სასჯელი და აქედან ის დასკვნა, რომ რეაქციონერები ვიყოთ და სხვა, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ხსენებული შენიშვნა ჩვეულებრივი უსირცხვილო, ყოვლად ბილწი ცილის წამებაა და აი რატომ:

მართალია სასჯელისაგან გაანთავისუფლეს თავადი უხტომსკი პეტერბურღში და აქ ტფილისში თქვენ მიერ ათვალისწუნებული და დაგმობილი ვალ. გუნია, მაგრამ მაგარიც ის არის და ლიტერატურული არამზადობაც, რომ, „მერცხლის“ პუბლიცისტებმა სიმართლე ურცხვად დამარხეს და ტყუილი წარბშეუხრელად შურისძიების უფსკრულიდგან აღადგინეს...

თავ უხტომსკი და მისი „Петерб. вѣдом.“ დასაჯეს და მერე გაანთავისუფლეს ორნივე—რედქტორიც და გაზეთიც, ხოლო აქ კი ჩვენ გაგვანთავისუფლეს, მაგრამ გაზეთი „ისარი“ სამუდამოთ დაჰკეტეს. ასე რომ ჩვენი პირადი განთავისუფლება მეტად ძვირად დაგვიჯდა: სამუდამოდ დაიკეტა მეტად პოპულარული და გავრცელებული ორგანო, რომელიც დიდის ღირსებით კრიჭაში უდგა ესდეკების უკუღმართობას.

ეხლა, ბ-ნო პავლე, თქვენც დაგვეთანხმებით თუ რა დიდი განსხვავებაა თავ. უხტომსკის და ვალ. გუნიას სასჯელსა და განთავისუფლების შორის...

და როცა ასეთ „შულერობას“ სჩადიან ესდეკების პუბლიცისტები ჩვენ იძულებულნი ვართ და მოვალენიცა, პირბადე ჩამოვგლიჯოთ ხოლმე ამ მავნე „მებრძოლთ“, მატყუარა „სოციალისტებს“ და ყალბ „მოღვაწეთ“!..

რაც შეეხება, ბ-ნო პავლე, თქვენს რჩევას, რომ ჩვენს ფაქტებს განმარტებაც წარუმძღვაროთ ხოლმე და ვამტკიცოთ რომ ჩვენ შავრაზმელები და ხულიგანები არა ვართ და სხვა, ეგ შეიძლება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიროც იყოს, მაგრამ რისთვის ან ვისთვის?! განა იმათ კი სჯერათ ჩვენი ხულიგანობა, ვინც შავრაზმელობას გვწამებს? სულაც არა, რადგან იმათ თქვენზე უკეთ იციან რომ შეუძლებელია ჩვენი შავრაზმელობა. იმათ მხოლოთ ჩვენი პირადი შეგინება და შებღალვა უნდათ, მაგრამ საქმე ის არის, რაოდენად აღწევენ თავიანთ მიზანს—შავრაზმელისა და ხულიგანის სახელის გათქმას ჩვენზე მუშა ხალხში!..

ჩვენ არ გვჯერა, რომ არა თუ შეგნებულ მუშებში, არამედ შეუგნებლებში ისეთი მჩატე გრძნობა-გონებისანი მოიპოვებოდნენ, რომ **სიმართლის მაძიებელთა, ქვეყნის ჭირ-ვარამის აღმნუსხველთა** შავრაზმელობა იწამონ...

დასასრულ ერთს ოსმალურ ანდაზას მოგახსენებთ: „თუ შენს მიზნისაკენ მიეშურები, ნუ შეჩერდები გზაზე, რომ ქვები დაუშინო შენზე მოსეულ ძაღლებს; გასწი წინ, თორემ ვერც ძაღლებს მოიგერებ და მიზანსაც ვერ მიაღწევო“!

დაე გვაგინონ და გვლანძღონ, ესდეკების კილვა-კიცხვას, ჭორსა და ცილის წამებას ვერსად გავექცევით, სამაგიეროთ ჩვენ მალე მივაღწევთ, თქვენი თქმისა არ იყოს, „იმ სქელ ბურუსის განფანტავს, რომელიც კარგახანია გარს ახვევია ქართველ მშრომელ ხალხს და რომლის წყალობით ვერ ვარჩევთ გვერდში ამომდგარ მტერს და მოყვარეს“.

რედ.

P. s. სხვების წერილებსაც ჩვენს წინააღმდეგ სიამოვნებით დავბეჭდავთ, რა თქმა უნდა, თუ ლანძღვა-გინების წუმპე არ იქმნება.

ალთა-ბალთა

(ვუძღვნი გ. გვაზავას)

ნუ აიღებ სხვაზე მახვიღს,
ნურც უარყოფ შენსა ფარსა.
„ნუ დაადგებ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა მეგობარსა.“
ეს ანდაზა საგულისხმოდ
დაუგდია ჩვენ წინაპრებს,
მაგრამ ცოცხლის რომ არ სჯერათ,
დაუჯერებს ვინღა აწ მკვდრებს?
რას 'შვრებიან? რას ჩადიან?
რას ეძებენ... ნეტავ რასა?
დარევიან ერთმანეთსა
უპირებენ გამოხვრასა'..
გლეხს თაავდი, თავადს გლეხი,
ერს მღვდელი და მღვდელსაც ერი
სულ ერთმანეთს გადაჰკიდეს
მოსისხლარად როგორც მტერი.
გამსჭვალული გულწრფელობით
სასიკვდილოდ თავსა სდებენ
მაგრამ რისთვის? ან თავისთვის
ან ქვეყნისთვის რას ეძებენ?
„ზოგი ალთას, ზოგი ბალთას!“
არევიათ გზა და კვალი!..
ავიწყდებათ ახალი გზა
ძველი გზისკენ მიმავალი!!
მართალია, შინ ბევრი გვაქვს
დასაქოლი და წამხდარი,
მაგრამ მათზე ჯერ ადრეა
წუწუნი და საუბარი!..
სანამ მტერი ჩვენ გარეშე
სასიკვდილოდ გვემუქრება
შინაური ბრძოლა არის
უსუსური უგნურება:
ძაღლი რაა?—პირუტყვია!..
ოთხფეხი რამ მოკლე ჭკუის
მაგრამ ისიც არა სცდება
ცხოვრებაში, არა სტყუის:
როცა ძაღლებს ერთმანეთში
ჩხუბი მოსდით ყეფა-ღრენით,
კბენენ, ჰგლეჯენ ერთმანეთსა
სიმწარით და სისხლთა დენით,
იმ დროს თუ კი თვალი მოჰკრეს
მიმავალსა მათკენ მგელსა,
იმავე წამს ყველა ერთად
აიღებენ ჩხუბზე ხელსა.
და მისდევენ ერთად ყველა
იმ გარეშე. საერთო მტერს!..
ყველას ერთი მისწრაფებით
შეთანხმებით გული უძგერს
და დღევანდელ ქართველებს კი
აღარა აქვსთ ეს შეგნება
და სასკვითოდ გადაქმნიათ
მათი გრძნობა და გონება.

აკაკი.

„ეთერო გაიხარებს!“

(საადგომო ეტიუდი)

„ეჰ, მაშ ხვალ აღდგომაა?!. მერე რას აპირებ, ბიჭო ბალე? ის განა სწორედ ამ დღეს არ მოხდა? ჰმ!.. რა ქეიფში იყო სტრაჟნიკი ლევანა იმ დღეს?!. აჰა, გხედავ, მაცდურო, რა გულითა გსურს თავი დავანებო ჩემ ნაფიქრს, მერე? თავი დავანებო ჩემ საყვარელ ნაფიქრს, რომელიც სატრფოსავით გულში მაქვს ჩახუტული? რომელსაც ჩემი ცრემლებით და გულის-ღელვით ვასაზრდოვებდი, გავზარდე ის ნაფიქრი, დავავაჟკაცე და ეხლა ჩავკლა უხვთოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში?! აჰა, შორს ჩემგან, მაცდურო! ჩემი აზრი შეურყეველია: სტრაჟნიკი ლევანა უნდა მოკვდეს, მან ჩემი და გააუპატიურა, ჩემი საყვარელი ობოლი დაიკო ეთეროს...

ვაჰ, ჩემ თავს რომ მაშინ აქ არ ვიყავ!.. აჰა, მომშორდით თვალიდან, ცრემლებო, თქვენ ჩემთან ეხლა საერთო აღარა გაქვთ რა.

საცაა შუალამე იქნება, ისიც საყდრისკენ გამოივლის, მე კი... მე კი შურს ვიძიებ, ნაღველს გულიდან მოვიშორებ... ის... ის კი მოკვდება! ოჰ, ნეტარებავ, ის მოკვდება; ეჰ, არ გესმით, უტყვნო მოწმენო ჩემი გულთა-ღელვის, თქვენც ხმა ამოიღეთ, ჩემთან ერთად ჩაებით ნეტარების ფერხულში!..“

ასეთ ფიქრებში იყო გართული ჩვენი პალე. ფიქრობდა და თან ხელში მაგრად ჰკუმშავდა თავის მამისეულ ხანჯლის ტარს; ფიქრობდა და თან გულში იხუტებდა თავის საყვარელ თოფს... უცდიდა მტერს, თავისთან ერთად აღოდინებდა ცხელ ტყვიასაც, რომელიც უკანასკნელად თოფში ჩადების დროს გულიანად გადაკოცნა.

ნაუ... ნაუ... ნაუ...—გაისმა სოფლის ეკლესიის ზარის ხმა შუალამისას, ქრისტიანეთ ქრისტეს აღდგომას აუწყებდა...

პალე შეკრთა, ხანჯალი ხელიდან გავარდა. რაღაც იდუმალი ხმა წყნარად ჩაჰჩურჩულებდა პალეს: „აჰა, პალე, ქრისტეს აღდგომაა, სულს ნუ დაიმძიმებ მკვლელობით, უკუ აგდე ეგ აზრი.“ პალე შეყოყმანდა, მაგრამ უცებ ხელი დასტაცა ხანჯალს „გადავწყვიტე!“ მტკიცედ შესძახა მან და ბუჩქის ძირს გაინაბა... მის მოლოდინში ისევ თავის საყვარელ ფიქრებს მისცა თავი...“ მის მოკვლას ჩემს ეთეროს ვახარებ, მივირბენ მის სიფლავზე, მტრის სისხლში შეღებილ კვერცხით მივულოცამ ქრისტეს აღდგომას, ჩემი დაიკო პირველად იგრძნობს საფლავში სიხარულს... ვეთაყვანე მას, მტლდაც დავედები... ოჰ, ეთერო გაიხარებს, ის მოკვდება, მე კი...

—

აღდგომა დილით სოფ. №-ის ორლობეში სტრაჟნიკი ლევანა ხანჯლით აკეპილი ნახეს, ხოლო თოფით განგმირული პალე თავის დაიკო ეთეროს საფლავზედ გაშხლართულიყო, სისხლში შეღებილი კვერცხი კი საფლავის ქვაზე გორავდა!..,

ვ. თამროშვილი.

კაცი

—

არ მაქვს იმედი
ზენა-ძალისა.
მე ჩემი ბედი
თვით მაქვს ნაჭედი—
ვარ შემომქმედი
მომავალისა.

—

ვმუშაობ—ღვარი
ჩამომდის ოფლის.
ვარ მეომარი
შეუპოვარი,
თუმც ვარ სტუმარი
ამ წუთისოფლის.

—

სოფელი ცრუა,
მას ვებრძვი მარად.
და ხალხის შუა,
საჭირო თუა,
მენთება ჭკუა
ცეცხლისა დარად.

—

რა მინდა? ფული?!
არა, ეგ არა.
ცხოვრება სრული
და სიყვარული—
აი რა რთული
მადევს ბეგარა.

—

მე ვჭამ და ღვინოს
მე ვისხამ პირში,
რომ მომალხინოს,
ღონე მომფინოს,
გამაძლებინოს
ყოველსა ჭირში.

—

მე ვიკრებ ძალებს,
ჩემში ჰდუღს ჯანი,
და ტურფა ქალებს
ვუკოცნი თვალებს—
ხშირად მათრთოლებს
ლამაზი ტანი.

—

იმას ვეხვევი,
ვეკურკურები,
ბორკილთ დამმსხვრევი
რომ შევქმნა დევი—
მტრისა დამქცევი
—ქვეყნის გმირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

და კვალად შრომა,
    კვლავ სიყვარული...
რომ ბნელმა დრომა
არ დასდოს ზომა
ისეთი რომა
    შებოჭოს სული.

—

არ მაქვს იმედი
    ზენა-ძალისა.
მე ჩემი ბედი
თვით მაქვს ნაჭედი,
ვარ შემომქმედი
    მომავალისა.

გიორგი გვაზავა.

ტეტიას გულის პასუხი

(სცენა)

(დავუკაცებული ქართველი გლეხი გამოჩნდება კულისებიდან სცენაზედ).

— რას გაგიჟებულხარ დედაკაცო!? ემანდ შენს ქერქში დადექი თორემ, მამაჩემი ანდრია არ წამიწყდება, კაი, კაი მოგხვდეს...

(შეამჩნევს მაყურებლებს, მორიდებით ბოდიშს მოიხდის და შემდეგ უკან მოხედვით თავს გაიქნევს.)

— უკაცრავად, თქვენი ჭირიმეთ... დასწყევდოს წმინდა გიორგიმა, ეი, რას ჩამაცივდა ე ვერანი...

(კიდევ უკან მიიხედავს და ჩამოჯდება ქვაზედ. ჩაიჯუბს მოკიდებულ ჩიბუხს პირში მარცხენა ხელით, სალოკის თითით თამბაქოს სტკეპნის გაკვეთებულს ჩიბუხში და რამდენჯერმე გააბოლებს.)

— ბიჭოს! ჩამციებია, გინდა თუ არა წითელი ფესი დაიხურეო?! ქრისტიანი კაცი რაზედ უნდა გავოსმალდე?.. მე რა ქუდი არა მაქვს ჩემი თუ?.. არა ჩემი ნაბდის ქუდი რითია, რომელიმე ქალდზედ ნაკლები ან ცუდი? ზამთარში, თქვენი ჭირიმეთ, მათბობს და ზაფხულშია კიდენა თავსა გრილათ მინახავს!..

(გააბოლებს, გამოიდებს პირიდგან ჩიბუხს, გადაფურთხებს და ტოტა არ იეოს შეეოუმანებით გაიდიმ ბს.)

— რამ გააგიჟა ე ოჯახ კეტიანი? მე, თქვენი ჭირიმეთ, ვცდილობ ე ფარაჯის მაგიერ აქლემის ყელის ჩოხა ჩავიცვა; რომ მეც გავერიო და გამოვჩნდე ჩემ ტოლ-ამხანაგებშია, ე ვერსნი კი ჩამციებია ფესი დაიხურეო...

(ჩაიდებს ჩიბუხს პირში, გააბოლებს და რომ გამოიდებს გადაფურთხებს.)

— იმ დღესაც ჩვენებიანთ ბოლოკას შვილი ჩამციებია და დაჟინებით მეკითხება: „მაშაო, რა გინდაო!?“ მე კი გავჩუმდი...

(შმუშვნით ეკითხება მაყურებლებს.)

— რა ვიცი, თქვენი ჭირიმეთ. მაშ, მეთქვა? ჰა!? მაშ მეთქვა? მაშ ითქმის? ჰო, და თუ ითქმის...

(მიიხედ მოიხედავს და შემდეგ გაბედვით)

— რა მინდა და „თავისუფლებაი“!.. მე მინდა თქვენი ჭირიმეთ: თავისუფალი მიწა, რომ ღალას არ ვიხდიდე, თავისუფალი და უსასყიდლო, როგორც ჰაერი და მზეა, ღვთისაგან ბოძებული... მოწმენდილი ცა, ბრწყინვალე მზე და წმინდა ლურჯა-ლიახვის წყალი. მერე... მერე კიდენ ითქმის, ჰა?.. ჩვენებური მამასახლისი; ჩემი სახლიკაცის სამართალი; ცხონებულ ანტონისთანა მოძღვარ-მწყემსი და ჩვენებურ ბერ-იაკობის სასწავლებელი...

(წამოდგება წელში გამართული)

— ზაფხულში, თქვენი ჭირიმეთ, ვიმუშავებ არხეინად ჩემის გოგო-ბიჭებითა და დავამუშავებ მიწებსა; ზამთარში-კია: ლაზათიანად ჩავაცმევ ჩვენებურად ჩემს გოგო-ბიჭებსა და გავგზავნი სასწავლებელშია; რომ იმათაც შაისწავლინ ჩვენი წარსული და მომავალი... მაშან მოდით, თქვენი ჭირიმეთ, და მკითხევით რომელ პარტიის კაცი ვარ!?.

ს. გლახაშვილი.

საფლავთა შორის...

—

ულონობისა ეჭვებით დაღლილს,
ვით ჰამლეტს ჭკუა-დაუცხრომელსა,
მეცა მივლია, საფლავთა შორის,
მეც მივცემივარ იქ ფიქრს მტანჯველსა...
    საფლავთა ძეგლნი თითქოს ერთმანეთს
    პირველობასა ეცილებიან;
    დიდ ხელოვნების ნაწარმოებნი
    კაცთ გამარჯვებას იუწყებიან.
ოფლი, სიმდიდრე და კაცის ნიჭი
მათ ასაგებად შეერთებულან,
ვით შეშვენს ძვირფას მკვდრითა სახსოვარს,
ძეგლნი ამაყად აღმაღლებულან.
    ნეტავი ვინ ძევს აი ამ ქვის ქვეშ?
    ნუ თუ მოღვაწე ქვეყნისთვის მკვდარი,
    უმადურობით ღაჟლექებული
    და სიკვდილ შემდეგ კერპად გამხდარი?!
არა, ბატონი იქ განისვენებს;
დიდხანს იცოცხლა, მოკვდა უჭლექოდ,
თუმცა მარჯვობდა სხვის დამცირებით,
მაინც ვით სათნოს სცნობენ სიქველნოდ...
    დღეს მის ძეგლის წინ გაივლის ხალხი,
    მისგან ძარცული დაჯაბნებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუდსა მოიხდის, პირჯვარს გადიწერს,
სასოებითა ცრემლ-მორეული:
„კაცი იყო და კაცურად მოკვდა,
მისი საფლავიც ნათლად ჰხმობს ამას!“
ასე ჰღალადებს ხმა-მაღლა ხალხი...
თავს როგორ ჰკადრებს იმის ძვირის თქმას!..
სადღაც კუთხეში, მიუვალ ადგილს
მოსჩანს ხის ჯვარი ქრისტიანული
და უბრალო ქვა მცირე წარწერით,—
ორნივ ჟამთა სვლით ხავს—მოდებული.
ეს საფლავია ჭლექიანისა,
ვისაც სხვის ბედით უძგერდა გული,
ვინაც ტანჯვის ცრემლს იმედით სპობდა,
კეთილ მერმისით აღფრთოვნებული.
ცოცხლად დევნილი და განკიცხული
სიკვდილს შემდეგაც დავიწყებულა;
მხოლოდ მის დედის დალახვრილს გულში
შვილის ხსენება არ აღხოცილა.
დღე-და-ღამ ცრემლით ალბობს ის საფლავს,
მოსთქვამს გულის ცეცხლს გამწარებული;
საფლავს ვით შვილსა ესაუბრება
სხვა იმედს ქვეყნად აწ მოკლებული,
ამ დროს საფლავთან გაივლის ხალხი,
წარწერას არჩევს ურცხვის ღიმილით,
უშვერ სიტყვებით მკვდარს იხსენიებს
და შეურაცჰყოფს დედას სიცილით:
„ლატაკი იყო ლატაკად მოკვდა,
ყველა მეტიჩარს ეს ბოლო აქვსო;
დედი, რად ზრდიდი მაგ ჭკუა-თხელსა,
თავშესაფარიც დღეს არა გაქვსო!“
ძმავ, მეგობარო, გთხოვ, გიალერსებ,
სიკვდილის შემდეგ ნურცა მიკითხავ,
ჩემს საფლავს ხალხის საგინებელად
უბრალო ქვითაც ნუღარ აღნიშნავ.
ვარდსაც ნუ დარგავ ტიალს საფლავზე,
ულვთოდ იქნება შეგინებული;
ყვავი დაკორტნის სანამ მხურვალედ
მას ჩაეკონვის მისი ბულბული...

ილ. პონტელი.

ხალხი უკვე გამოფხიზლდა

—

მედიდურნო, მძლავრ-უკმეხნო,
გსურთ, რომ ხალხი ჩააჩუმოთ?
მკვირცხლი გრძნობა-აზროვნება
დაუმონოთ, დაუდუმოთ?
გსურთ, რომ ქვეყნად ვერაგობა,
გახრწნილება გაამეფოთ?
სიფლიდით და ძალადობით
კვლავაც სჩაგროთ და იმეფოთ?
ტყუილია, უნაყოფო
თქვენი ცდა და ოინები!
ხალხი უკვე გამოფხიზლდა,
შეიმსხვრია ბორკილები!..

დ. თურდოსპირელი.

ჯიოვანნი ბოკკაჩჩიოდან

სანაძლეო

—

ქ. ფლორენციაში სცხოვრობდა ერთი მეტად მხიარული და ხუმარა ყმაწვილი კაცი, სახელად მიკელე სკალცა. ყოველთვის მზადა ჰქონდა ახალ-ახალი ამბები და სახუმარო მოთხრობები, რის გამოც, მისი ტოლ-ამხანაგები, სცდილობდნენ ყოველთვის მასთან ერთად ყოფილიყვნენ. ერთხელ რამოდენიმე ყმაწვილი კაცი, რომელთა შორის სკალცაც იყო, მონტ-უგიში იყვნენ და დაიწყეს იმაზე სჯა; თუ ფლორენციაში ვინ უფრო ყველაზედ წარჩინებული გვარიშვილია და ვინ უფრო ეკუთვნის ძველს შთამომავლობას. ერთი უბერტტის ასახელებდა, მეორე-ლამბერტის, ერთი ამას ამბობდა, მეორე იმას და სხვა... ერთის სიტყვით ყველა იმას გაიძახოდა, რაც ენაზე მოადგებოდა. ეს რომ სკალცამ გაიგონა, გადაიხარხარა და უთხრა:

— დაიკარგეთ, თქვე სულელებო! თქვენ თითონაც არ გესმით თუ რას ამბობთ. ყველაზე წარჩინებული გვარიშვილნი, არამც თუ ფლორენციაში, არამედ მთელს ქვეყნიერებაზედ, არიან—ბარონჩები. ამაში დამეთანხმებიან ფილომოფოსნი და ყველა ის, ვინც კი იმით ისე კარგად იცნობს, როგორც მე. მე ვასახელებ იმ ბარონჩებს, რომელნიც თქვენს მეზობლად სცხოვრობენ სანტა მარია მაჯიორში.

ეს რომ გაიგონეს დანარჩენებმა, დაიწყეს სიცილი, რადგანაც სულ სხვას მოელოდნენ. ბოლოს უთხრეს:

— რას გვასულელებ, ჩვენ შენზედ არა ნაკლებ ვიცნობთ ბარონჩებსა.

— ვფიცავ სახარებას არა ვსულელობ.-მიუგო სკალცამ—სრულ სიმართლეს გეუბნებით. ვისაც არა სჯერა შეუძლიან დამენაძლიოს იმ პირობით, რომ წამგებმა ვახშამი გაუმართოს მომგებს და ექვს ამხანაგს, რომლებსაც მომგები ამოარჩევს. თუ გნებავთ უფრო მეტსაც ვიკისრებ: ამოარჩიეთ მოსამართლეთ ვინც თქვენა გსურთ და რასაც ის გადასწყვეტს,—დავეთანხმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყვავილების გამყიდველი — გოდვარდის ნახატი.

მადლიანი ქუსლი

ერთ ყმაწვილ კაცმა, სახელად ნერი მანინმ სთქვა:

— მაშ კარგი, მე მსურს ეგ ვახშამი მოვიგო.

ერთმანეთში მოილაპარაკეს და მოსამართლეთ დანიშნეს პიერო დი-ფლორენტინო, ვის სახლშიაც იმ ჟამად იმყოფებოდნენ. ორივენი პიეროსთან წავიდნენ. დანარჩენებიც უკან გაჰყვნენ, რომ ენახათ როგორ წააგებდა სკალცა და სასაცილოდ აეგდოთ. მივიდნენ მასპინძელთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. პიერომ ჯერ ნერის მოუსმინა, მერე მიუბრუნდა სკალცას და ჰკითხა:

— აბა, შენ როგორღა დაამტკიცებ იმას, რასაც ამბობ?

— როგორ?— მიუგო სკალცამ — მე მაგას ისეთის საბუთებით დაგიმტკიცებთ, რომ არამც თუ შენ, არამედ ისიც-კი, ვინც მაგას უარსა ჰყოფს, იტყვის რომ მე მართალს ვამბობ. თქვენც შოგეხსენებათ, რომ ადამიანი რაც უფრო ძველს შთამომავლობას ეკუთვნის, მით უფრო გამოჩენილი გვარიშვილია. ამასვე ამბობდნენ ეს ყმაწვილები როდესაც ამის შესახებ ბაასობდნენ, ბარონჩები-კი ძველთაგან ძველს შთამომავლობას ეკუთვნიან და მაშასადამე უფრო წარჩინებული გვარიშვილებიც იქნებიან. უკეთუ მე დავამტკიცე, რომ ბარონჩები მართლა ძველთაგან-ძველს შთამომავლობას ეკუთვნიან, მე მგონია ეს საკმარისი იქნება და სანაძლეოსაც მე მოვიგებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ბორანჩები, უფალმა ღმერთმა ჯერ კიდევ მაშინ შექმნა, როდესაც იგი ახლად სწავლობდა გამოქანდაკებას, ადანარენი ხალხი-კი მაშინ შეაქმნა. როდესაც კარგად ისწავლა ეს ხელობა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მიაქციოთ ყურადღება ბარონჩების ოჯახსაც და სხვა ხალხსაც. თქვენ ნახავთ, რომ სხვებს ადამიანური შეხედულება და ცოტათ თუ ბევრად შეთანხმებული სახე აქვთ, ბარონჩების ოჯახზე-კი ეს არ ითქმის. ერთს აახე მეტად გრძელი და ვიწრო აქვს, მეორეს მეტად განიერი, მიუხედავად ყოველივე წესიერებისა.

მესაეს უშველებელი ცხვირი აქვს, მეოთხეს —მოკლე, მეხუთეს ნიკაპი წავარდნილი აქვს და ზევით იყურება, და ყბებიც უფრო ვირის ყბებს მიუგავს, ვიდრე ადამიანისას. მეექვსეს ერთი თვალი უფრო დიდი აქვს და მეშვიდეს-კი ერთი თვალი მეორეზედ დაბლა გამოჰბმია. ერთის სიტყვით ისეთები არიან, თითქოს ახლად მოსწავლე ბავშვს დაუხატავსო. ამიტომაც, ოგორც უკვე ვსთქვი, აშკარაა, რომ ბარონჩები ღმერთს მაშინ შეუქმნია, როდესაც ჯერ კიდევ ახლად დაუწყვია გამოქანდაკება, მაშასადამე ისინი უფრო ძველს შთამამავლობას ეკუთვნიან ვიდრე სხვანი, და რაკი ეს ასეა, სჩანს ყველაზედ წარჩინებული გვარიშვილები ისინი იქნებიან.

რა რომ მოისმინეს საკალცას მოყვანილი საბუთები, ყველამ სიცილი დაიწყეს და დაეთანხმნენ რომ ბარონჩები ეკუთვნიან ძველთაგან ძველს შთამომავლობას და ყველაზე წარჩინებული გვარიშვილნი არიან არამც თუ ფლორენციაში, არამედ მთელს ქვეყნიერობაზედ. სანაძლეოც რასაკვირველია სკალცამ მოიგო.

ა. ხ. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც არის...

რაც იქნება...

გიორგი ყაზიბეგი

(ახლად არჩეული თავსმჯდომარე ქართვ. წ. კ. გამ. საზ.).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

„Матеріалы по археологіи Кавказа“, вып. IV

ამ მშვენიერს დიდს დასურათებულ წიგნში აწერილია საქართველოს გამოჩენილი ტაძარ-მონასტრები. ავტორი იწყებს აფხაზეთიდან, მიდის აჭარაში, იქიდან გადადის კობლიანის ხევს. ფოცხოვის ხევიდან მიდის რაჭას და იქიდან შემოდის შიდა ქართლს. სულ აწერილია 66 ქართული ნაშთი. მათ შორის უფლის ციხეც, ატენიც ნაშთთა სურათებთან ერთათ გადმოღებულია თვით მათი წარწერებიც. სამწუხაროდ, ეს წარწერები, რომელთა წაკითხვა და თარგმნა მინდობილი ჰქონია პროფ. ხახანოვს, უმეტეს ნაწილად, დამახინჯებულია, ზოგი მათგან ბ-ნ რედაქტორს ყირამალადაც დაუბეჭდია (გვ. 130), ზოგი აურევია (სტრიქონები წინ-და უკან წაუკითხავს). ზოგი სრულიად ვერგაუგია. ორიოდე მაგალითი.

1. ნიკორა-წმიდის წარწერები.

(გვ. 131):... ღვთისა დედოფალ დედოფალსა ებფემიას ასულსა **სვიან**... რატასა.

დედანში სწერია:... ღუთისა დედისა, დედოფალსა ევფემიას ასულსა **სულკურთხეულისა**... რატისსა.

(გვ, 138) ექვს სტრიქონში მოქცეული ასოთმთავრული წარწერა აურევია და კითხულობს ჩაყოლებით ასრე:

„მე კახაბერ ყოფ ერისთავმან კირილის ძემან მოვჰედე ხატი ესე ჯვარცმისა დვიოსისა და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერი“.

ნამდვილშია:

1. მე კახაბეთ ყოფილმან კირილე, ძემან სულკ-
2. ურთხეულისა ერისთავთ ერისთავისა რატისამან,
3. მოვჰედე ხატი ესე ჯუარცუმისა ნუგეშინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მცემელად და სალხინებლად სულისა ჩემისა ცო-
5. დვილისად და სადღეგრძელოდ ძისა ჩემისა ერი-
6. სთავთ ერისთავისა რაჭის ერისთავისა რატისად.

ხახანოვის დაბეჭდილში მეორე (2) სტრიქონს უკავია მეოთხე ადგილი, მესამეს—მეორე, მეოთხეს—მეხუთე, მეხუთეს—მესამე.

2. თიღვის წარწერები:

(გვ. 166) 1. ოვფალო ღმერთო შეიწყალე სოვლი
2. გიორგი მრო-
3. ელ ებისკოპოზისაი,
4. რომელმან აღ-
5. აშენა წმიდაი
6. ესე ეკლესიაი

ამ წარწერის მეექვსე სტრიქონი ხახანოვს დაუბეჭდია სულ თავში (1-ლ სტრიქონად), წარწერა სრულიად ვერ გაუგია და ისე უთარგმნია: „Господи помилуй душу рабы, которая построила храмъ сей святой“.

სწორეთ ამაზედ არის ნათქვამი—ალია მოკვდაო და ფეხები საითაო აქო!

(გვ. 170) ორ რიგი წარწერა დავით აღმაშენებლის ქალის თამარისა, ექვს-ექვს სტრიქონად ყოველ რიგში. აგრეთვე არეულია: 1-ლი რიგის მეექვსე სტრიქონი დაბეჭდილია მეორე რიგის მეხუთე ხტრიქონის შემდეგდა, რაღა თქმა უნდა, სწორედაც ის არის წაკითხული.

3. ოქონის ხატის წარწერა იხსენიებს კათალიკოზს ევდემონს და არი სვიდემოსს, როგორც წაკითხულია.

კიდევ გინდათ მაგალითები? რა სიჭიროა, საკმაოა გადაშლილი ე თაყაიშვილის არქეოლოგიური „разыска. ніе“-ები, რომ დარწმუნდეთ, თუ რა მცოდნე ყოფილა ბ. ხახანოვი ქართულ ნაწერების აღმოკითხვაში.

მოსკოველი ქართველი.

პრომეთეოსის სიმღერა

—

დე, კვლავ იშხამოს ტკბილი ოცნება,
თუნდაც გამიწყდეს სიცოცხლის ძაფი,
დე, სტიქიონმაც ჩემზედ იუფლოს—
ამ მკერდს აპობდეს მკაცრი ღვართ-ქაფი;
დე, ცამ მიგზავნოს რისხვაზედ-რისხვა,
ძერა და ორბი სჯიჯგნიდეს ამ გულს,
ზევსმა მრიხხანემ მუქარა მიძღვნას
უიმისოდაც დაავადებულს;
დე, წვრილ-ღმერთებმა ხარხარი მოართონ,
როს დაინახონ ეს ჩემი გული,—
სისხლში მოსვრილი, ოდნავ მფეთქავი,
სასტიკ მტრებისგან გამოწიწკნული...
მაინცა მჯერა, რომ გავიმარჯვებ,
ღვთაებრივ ცეცხლსა აღვივებს ქარი,—
პრომეთეოსი მკვდრეთით აღსდგება
და მტერთ შეიპყრობს შიშისა ზარი.
ძერა და ორბი მიჰქრიან უფსკრულს...
ეს დაწიწკნული გულიც მთელდება...
და ახლოს არის ის დრო ნეტარი
როს ჩემი დროშა აფრიალდება!..

სპარტაკი.

შენ შვნა

შეიძლება, არსად იმდენი დვაწლი არ მიუძღოდეს მშობელ ერის მიმართ მწერლობას, რამოდენიც ჩვენში და არსად ისე ბუჩად არ იგდებენ მწერლებსა და მათ ნაწერებს, როგორც ჩვენ!

ნიკოლოზ ბარათაშვილიდან დაწყებული, რომელიც ჯერ თბილისში უბრალო „სტოლის უფროსობაში“ ათენ-ადამებდა და შემდეგ ნაჩვენსა და განჯაში მაზრის უფროსის თანაშემწედ მსახურებდა, სადაც კიდევაც უდროოდ მოუღო ბოლო ადგილობრივმა ჯაობის ციებამ თითქმის ყველა ქართველი ნიჭიერი მწერალი იძულებულია, გარეშე სამსახურით ირჩენდეს თავს, ხშირად ცხრა მთას გადადმა გაკაკარგული, თუმცა იმდენი საზოგადო და კერძო ეროვნული დაწესებულება კი მოიპოვება ჩვენში, რომ შეიძლებოდა, ყველა ჩვენი მწერლები უზრუნველ გვეყო მათთვის უფრო შესაფერ და ნაყოფიერ შრომის ამორჩევით.

გარდა იდეა ჯაგჯაგაძისა, რომელიც თავიდანვე სულ სხვა ბირობებში ჩავარდა ამ მხრივ, ჩვენში არც ერთს ბოეტსა და ბელეტრისტს არა სთვლიან ბრაქტიკულ მოდგაწეობისთვის სასარგებლოდ ჩვენებურ დაწესებულებებში და არამც თუ სქმის სათავეში არ აუნებენ უბრალო დამხმარეთაც არა ღებულობენ!...

მაგრამ ამაზე როდისმე სხვიმის და სხვაგან! ახლა კი ეუნადდება მინდა მივაქცეო იმ უპატივცემულობას, რომ მეტი არა ვთქვათ, რომელსაც იჩენენ ქართველ მწერალთა და მათ ნაწარმოების მიმართ. ჩვენებური სახელმძღვანელოებისა და ქრისტომატია—კრებულების შემდგენელ-გამომცემელნი და მათ შორის თვით ჩვენი დამსახურებული ბედაგოგი ბ. იაკობ. გოგებაშვილიც, რაშიაც დამარწმუნა „დედა ენის“ უკანასკნელი გამოცემის (1908 წლისა) გადათვალიერებამ.

ამ გამოცემაში, მაგალითად, რამდენიმე დექსია მოთავსებული, რომელთა შესახებაც „სარჩევში“ აღნიშნულია „აკაკის რედაქციითო“, მაშინ როდესაც ეს დექსები სავსებით უნდა ეკუთვნოდნენ აკაკის, როგორც ავტორ-მთარგმნელს, და არა რედაქტორს.

„დედა ენის“ ძველი გამოცემები და სახუმარო დექსები მოთავსებული იყო თვით ბ. იაკობის, ან სხვა ვისიმე, ნათარგმნია, ხოლო აღნიშნულ გამოცემაში სრულიად ახალი თარგმანია აკაკისა ამავე დექსებისა.

ცნობილი რუსული დექსი „жилъ былъ у бабушки серенькій козликъ: წინად ასე იყო „დედა-ენაში:

„ჩემსა ბებიას ლურჯი თხა ყვანდა,
კიკინა ბებიას მეტად უყვარდა;
თხას სეირნობა ტყეში მოუნდა,
წვერის ცანცარით გზასა გაუდგა: და სხვა

ახლა იმავე ადგილი ასე უთარგმნია აკაკის:

„ერთი თხა ჰყავდა ბებიას ცქვიტი, მარდი და პეტარა;
თავს ეელებოდა, უვლიდა, უყვარდა წვერებ ცანცარა.
ატროკდა ერთხელ ბეკეკა, გაიჭრა ტყეში გავარდა;
ნეკერი ჩაკნატუნა, კუნტრუშით შეინავარდა.“

მეორე ცნობილი ლექსი: „ахъ, попалась, птичка стай, не уйдешь изъ сѣти : წინად ასე იწყებოდა „დედაენაში:“

„ეჰე გაები, ჩიტო ლამაზო,
ჩვენსა დაბებულ ძუის მახეში,
აღარ გაგიშვებთ, ცქვიტო, მალხაზო,
რაკი ჩავარდი შენ ჩვენსა ხელში!...“

ახლა ამავე ლექსს ასე სთარგმნის აკაკი:
„გაბმულხარ, ჩიტო, მახეში? გაჩერდი, ნუღარ ფრთხიალობ!
ჩვენი ხარ, ვერსად წაგვიხვალ, დაგვიმორჩილდი, რას სწვალობ?“ და სხვა.

მ̣ესამე ლექსი „კატა“ წინად ასე იყო დაბეჭდილი:

„სახლის უკანა დედა კატუნა
იჯდა კუნჭულში დაღონებული,
მივიდა მასთან ხვადი ღრუტუნა
და ჰკითხა, რად ხარ დაძმარებული?
—ახალმა რძალმა ჩუმად შეჭამა
დილით შემწვარი ქათმის ბარკალი;
ბრალი მე დამდო, ცილი დამწამა,
მიმაბეგვინა ალალ-მართალი!“ *)

ახლა იგივე ლექსი აკაკის ასე აქვს:
„დედა კატა კარს უკან სცუცქს, გრძელ კუდ ამოძუებული;
თვალში ცრემლი მორევია, სიმწუხარით სწყდება გული.
ხვადი მიდის, შეჰკრუტუნებს: ჩემო კარგო ციცუნია.
ვიზედა ხარ გაბუტული და ან ვინ რა გაწყენია
—კოტემ თევზი მოიპარა, შეშინდა და გადაჰფიცა;
მე ქურდობა შემომწამა, ურცხვად ღმერთი დაიფიცა.
ის გადარჩა, მე გამცოცხეს, ის მტყუანი მე მართალი,
ამისთანა სამართალს-კი დაუდგება ორივ თვალი.“

დამეთანხმებით, რომ ამ ლექსში წინანდელ და ახალ ვარიანტებს შუა იმდენი განსხვავებაა, რამდენიც ერთისა და იმავე აზრის უხეირო, თუნდ ლექსისებურ, ბრიზის გამოთქმასა და მართლა ბოეტურად გამოხატვას შუა და მარტო „აკაკის რედაქციაო,“ რომ ვსთქვათ, არა კმარა! ასე რომ იყოს, მაშინ ყველა კრიდოვის იგავ-არაკების წინანდელ მთარგმნელებს შეეძლოთ ეთქვათ აკაკისათვის, შენი მხოლოდ რედაქციაა და თარგმნები-კი ჩვენია, რადგან ჩვენ უფრო ადრე გადმოვთარგმნეთ ეგ იგავ-არაკები შენზეო...

მაგრამ აკაკისთვის „რედაქცია“ მაინც ურგუნებია ბ. იაკობს და ჩემი ლექსისთვის-კი, რომელიც მოუთავსებია „დედაენაში.“ და რომელიც ჩემი საკუთარია და არა გადმოთარგმნილი, ესეც ადარ დაუნახავს საჭიროდ!

*) სამივე ლექსის წინანდელი ვარიანტები ზეპირად მომყავს და ბოდიშს ვიხდი, თუ ხსოვნამ მიღალატა და რაიმე გადავასხვაფერე დედანთან შედარებით. ავტ.

ჟურნალ „ჯეჯილის“ № X-3 1901 წლისა დაბეჭდა შემდეგი ჩემი ლექსი:

პატარა ქართველი.

„მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი!
ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო—
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!
ქვეყნის თვალი-ეს ქვეყანა ღვთის მშობლისა არის წილი,
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია და უნახავს ბევრი ტკბილი:
ხან თუ მტერი აოხრებდა, იყო მღვრელი ცრემლის ცხარის.
ბრწყინვალე დროც დასდგომია, დრო დავითის და თამარის!..
მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი
და მსურს, მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი...

(„ჯეჯილში“ „და სიკვდილის“ მაგიერ დაბეჭდილია „სიამ-ტკბილი,“ თუმცა მე ზირადად თანახმა არა ვარ ამისთანა შესწორებისა).

აი, ეს ლექსი „დედაენის“ მე 22-რე გვერდზე მოთავსებულია სხვა „ამერ-იმერ ქართველთა სიმღერებ შორის; მხოლოდ გამოტოვებულია მესამე ტაეი „ქვეყნის თვალი“ და სხვა, რაც ჩემის აზრით ლექსს თუ არ ახდენს, არაფერს მატებს, რადგან შემდეგი ტაეი: „ხან თუ მტერი“ და სხვ. შეუკავშირებელი რჩება ზემო ტაეებთან და უაზრობა გამოდის...

სარჩევში, სადაც ავტორები ყვავს აღნიშნული ბ. გოგებაშვილს ამ ლექსის ავტორზე ხმას არ იღებს და გამოდის მის წინასიტყვაობასთან მინაწერ შენიშვნის მიხედვით, რომ ეს ლექსიც ან თვით ბ. იაკობს უნდა ეკუთვნოდეს, ან ხალხური უნდა იყოს...

ეს სრული აბუჩად აგდებაა მწერლისა!...

დუტუ—მეგრელი.

მუშის სიმღერა

ვიდრე მიდგას პირში სული
და მიფეთქავს მკერდში გული,
არ შევდრკები, არა, არა,
რაც ვითმინე, ისიც კმარა!
არ მოვიხრი მტრის წინ ქედსა,
არ გადვიწყვეტ ხსნის იმედსა,
მწამს იბრუნებს ბედის ჩარხი
და აღზდგება მუშა ხალხი.

ი. გრი—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისევ „ჩაიჭრა“! — კორინის ნახატი.

აირია მონასტერი

(1905 წელწადი)

—

რა დაჰბერა ტკბილმა სიომ
და დასუსტდა ხალხის მტერი,
ღმერთად გახდენ „ესდეკები“...
აირია მონასტერი!

ქალები გაგვიბატონდა,
გადაგვერია „ესერი“,
„მანსიპაცია“ იძახეს...
აირია მონასტერი:

აქ მღვდლებიც აჰყვა ფეხის ხმას,
გაიკრიჭა ხუთი ბერი,
„ესდეკობა“ დაიჩემეს...
აირია მონასტერი.

მოწაფენიც გაიფიცნენ
ენით შეიქმნენ „ესერი“
სწავლას თავი მიანებეს...
აირია მონასტერი.

ამით სურდათ ქვეყნის „გმირებს“
გადაექმნათ თვისი ერი,
მაგრამ იმისთანა ხალხმა
მთლად არია მონასტერი!

ს. მაჭავარიანი.

ისევ ძველი ტაქტიკა გვიჯობს

—

კარლო ჩხეიძის მამა თავის შვილს თურმე ეუბნებოდა:

— რუსული ისწავლე, შვილო, კაცი გამოხვალო.

ისწავლა ჩვენმა კარლომაც რუსული და ქე გახდა კაცი: აფხანიკებმა თბილისის ღუბერნიის დეპუტატათ აირჩიეს და გაგზავნეს სახელმწიფო დუმაში.

მივიდა ჩვენი კარლო და ჩაურუსულა:

— რუსული ისთეა ჩვენთვის საჭირო, როგორც ჰაერი-თქო.

მარა მიუხვთენ ნამდვილი რუსები: „ეე! ჩვენებმა თუ დეიჯერეს ამისი რუსობა, მთლა გაგვასოციალისტებსო“.

ასთე სთქვეს გულში და სტკიცეს:

— შიშლიკო!

შეიტყეს ეს ამბავი ნამდვილმა ქართველებმა და ახლა აქედან შაუბღვირეს:

— იუდაო!

ტყუილა კი არ უთქვამთ ჩვენ ლიდერებს: ნამდვილი რუსი და ნამდვილი ქართველი ერთიაო, —ბურჟუა, პროვოკატორი, შპიონი და ბიუროკრატიო!

აწი რავარც ვხედავ, აფხანიკო, ისევ უწინდელი ტაქტიკა გვიჯობს: იყავ ნამდვილი სოციალ-დემოკრატი. თვარა ნამდვილი რუსი ან ქართველი შენ არ მიგიკარებს, და ყალბი არც რუსი ვარგა, არც ქართველი.

ნამდვილი აფხანიკი.

ვითომდა „იუმორი“.

(ეშმაკების ბუნაგს).

—✦—

იცით რა არის იუმორი?
(ბევრს კიდეც გეცინება)
ტალახში რომ ჩაწვეს ღორი —
ეს იქნება იუმორი...
ან თუ შეთხზე დიდი ჭორი
ესეც იქნება იუმორი...
ვინც აყროლებს როგორც მძოვრი,
ესეც თურმეა—იუმორი...
გაჯიუტდე როგოროც ჯორი
აი ესეც შენს იუმორი...
ხუთიაო ორჯერ ორი,
ესეც გადის ვით იუმორი....
თუ შენს ნათქვამს ასდის შმორი
ესეც ყოფილა იუმორი...
მოკლეთ რომ ვსთქვათ გახდი ღორი
აი ეს არის იუმორი!..

გერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული

გაზაფხულსა მისთვის შევსტრფი,—
რომ მოგვიტანს განახლებას,
ზამთრის ტანჯვას დაგვავიწყებს,
გაგვიმტკიცებს შემეცნებას:—
შეცდომილ და უიმედოთ
თავის მამულს შეაყვარებს,
ორგულთა და მოღალატეთ
შეარცხვენს და გაამწარებს.
ფეხქვეშ თელილ ჩვენ მიწა-წყალს
გააცხოვლებს, ააყვავებს,
ძველს თუ ახალ თაობასა
სულით განწმენდს, აღამაღლებს.
დაქსაქსულებს მოგვაგონებს,
რომ დრო არის შეერთების
კინკლაობით, მტრობ თ, ჩხუბით
მოგებული სხვა დარჩების...
ხოლო ერთად, შეთანხმებით
ბევრს ჭირს დასძლევს ჩვენი ერი...
გაზაფხულიც სიმბოლოა
შეთანხმების მშვენიერი!..

ტ. მგელაძე.

სიყვარულის ფილოსოფია

შეჯდიდან.

—

მთის ცივი წყარო ერთვის მდინარეს
მდინარე ზღვისკენ მიეჩქარება;
გრილი ნიავი მიწაზედ დაჭრის
გაცრეცილ ღრუბლებს ეალერსება.
ირგვლივ სულდგმულნი გულით ჰხარობენ,
სულს უფრთოვანებს მათ სიხარული;
და მაშ, ძვირფასო, ჩვენ რად არ ძალგვიძს,
რომ შევაწებოთ ერთმანერთს გული?!

—

ხედავ, მთის წვერი ლაჟვარდსა სწვდება,
ტალღა მქუხარე ნაპირს ასქდება;
განთიადზედა მინდვრის ყვავილნი
ერთი მეორეს გულში ეკვრება.
ზღვა ვარსკვლავს შესტრფის, ვარსკვლავი—
მთვარეს,
და დედამიწა მკრთალსა სხივებსა;
მაგრამ რას ვაქნევ მე იმათ ალერსს
თუ არ მიკოცნი, ტურფავ, ტუჩებსა?!

ა. შ—ლი.

პროვინციიდან

სოხუმი (ჩვენებური რამე-რუმე). არ იქნა არ დაცხრნენ „ქვიყნის მსხნელები“ და „ჭეშმარიტი მამულიშვილნი“ სხვის მამულებზე და მიწა-წყალზე.

სოფ. პავლოვსკის (რუსეთიდან გადმოსახლებულების სოფ. სოხუმის ოლქი), სახელმწიფო ადგილში მცხოვრებ სოფლელებმა, წინა წელს, ძმათა გ—ავათ წერილობითი პირობით მიყიდეს ტყე, შემდგარი ბზისაგან, მაგრამ... მაგარიც ის გახლავსთ, რომ რალაც „მანქანის“ ზეგავლენით, პავლოვსკებმა, ძ—თა გ. პირობას ზურგი უქციეს და მეორე პირზე ი—ზე „ტორგით“ დაანარჩუნეს უფრო ნაკლებ ფასში!

გ—ებმა თავის პირობას სოფლელებთან კანონიერი ძალა მისცეს და სასამართლომ პირობის დამრღვევთ მიუსაჯა ჯარიმა—ათას ხუთ-ასი მანეთი. გ—სა „ლისტი“ გადაიცა ვისაც ეკუთვნოდა და თავის ძალაში შევიდა, მას შემდეგ განვლო დრო ხანმა...

ცნობილი „მოღვაწეებმა“, ათას „ფეროვანი“ საქმეები, თავის სუფლიორობით „ხალხს გამოაცხობინეს“ და გარდაეცა კიდეც მთავრობის უმაღლეს პირს. შედეგს-კი მკითხველო, ვერც წარმოიდგენთ!

ამ „წმინდა“ საქმეებს, სხვათა შორის, მსხვერპლად მოყვნენ ზემოდ დასახელებული ძმებიცა. გ—ებს (ორს), მყისვე გადაეწყვიტა ვიატსკი გუბერნიაში გადასახლება ხუთ-ხუთ წლითა. ამაზედ ეხლა კავკასიის ნამესტნიკთან არის შუამდგომლობა აღძრული, რომ უდანაშაულოთა გაგზავნა შეაჩერონ და ეს საქმე ხელახლად გაირჩეს...

როგორც ვიცით, ჩვენ სოხუმში არსებობს ორი აფთიაქი: ერთი ქალაქისა, იჯარით გადაცემული—ბურჭულაძე და ამხანაგობასა და მეორე კერძო ბაუმანისა.

ადგილობრივი აფთიაქის მაღაზიის პატრონი ფრენკელმა და მისმა კომპანიამ განიზრახეს მესამე აფთიაქის გახსნაც. ამის გამოთ, კეთანია რაც ასტყდ ერთი უშველებელი ფაცა-ფუცი, მიწერ-მოწერა „მძღავრთა ამ სოფლისათა“ წინაშე. თავიანთ „ოტნოშენიებს“ მისცეს, რაც შეიძლებოდა ყველა ფერი ცისარტყელა და მშვენიერი „გარნირიცა“ თან წაუმძღვანეს'.. ასე რომ დაინტერესებული პირები, გულის ფანცქალითა მოელიან გადაწყვეტილებასა—სადაც ჯერ არსიდან.

აქეთ ქურდ-ბაცაცების თავისუფალ თარეშობას ბოლო არ მოეღო და ლამის არის სული ამოხდეს ადამიანსა მათი „წყალობითა“. ამიტომ კოდორის ნაწილს (აფხაზეთი) რამდენიმე სოფლებში,

ბოროტმომქმედთა ასალაგმავათ ჩამოიყვანეს ერთი „სოტნა“ ყაზახები. „სტუმრობა“ ყველასთვის ძალიან „საგრძნობელია“ თურმე. .

დროებითი აქაურ სამხედრო სასამართლომ, ბოქაული ს. და გამგეობის წევრის კ. მკვლელს — სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მხოლოდ სამხ. სასამ. უმაღლესად აღძრა შუამდგომლობა, რომ კიდია-შვილს (მკვლელს) სასჯელი შეუმსუბუქონ.

ამას წინეთ, ნაშუადღევს, საათის 4—5 ბოქაული პოლიციელებით დაედევნა რამდენიმე საეჭვო პირებს. უცნობნი ერთ სახლში ჩასაფრდნენ. იმ კუთხის თოფის სროლის ხმაურობა, სწორეთ ბრძოლის ველსა მოგაგონებდათ. უცნობნი არ ნებდებოდნენ... ბოლოს, მოიხმეს მთელი როტა ჯარის კაცები და როგორც იყო იერიშით აიღეს „სიმაგრე“ ჩასაფრებულებითურთ—სამი კაცი. „ციხის კამენდანტიც“—„ზა კომპანიუ“ თან გააყოლეს დაჭერილებსა. ამბობენ: ზოგმა გაქცევაც მოასწრო, შეპყრობილ პირებიდგან ერთი უკვე გარდაიცვალა, მეორე—სიკვდილის პირზეა და მესამესაც—ამნაირივე ბედი „ულიმისო“. „კამენდანტს“-კი, ქრისტ. აღდგომას ციხეში გაატარებს...

ზემოდ მოყვანილ სტრიქონების შესავსებლად არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ, ზოგიერთი ყბად ასაღები—წყალ წასაღები ამბები,—ეგრედ წოდებული აქაურ „ჭია-ხოჭოებზე“:

გასულ წლის მიწურულში, როსკიპ ქალმა, ტუსაღი თავდებობით გაანთავისუფლა ციხიდან. ეს ვაჟბატონი, „სადაც საჭიროა“, უდროვო დროთ დაიარება არა წმინდა საქმეზე...

„ნიშადურის“ 36 №-ში, ჩვენ მიერ შენიშნული, ქართულ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვის მოსპობის შესახებ გვაქვს „პატივი“ მისამატი: აქ ძალიან ბევრი გაზ. გამყიდველი აგენტები გამოგვეცვალა: სამწუხაროა, რომ აგენტები სხვის ქონებაზე „მადა აშლილნი“ გამოდგნენ!.. ეგ ხომ ცალმხრივი „სოციალიზმია“ ანუ სხვის გაღლეტა . ასეა თუ ისე ბოლოს ჩვენ ადგილობრივი მკითხველები გავიჭყლიტეთ—უგაზეთოდ დავრჩით და ადვილი წარმოსადგენია გაზეთს შეჩვეული მკითხველების ყოფა...

უცნაური სიზმარი უნახავთ: ზოგიერთა ვითომ აქაურ რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი და მოზდილი მოწაფენი ციხეში ჩასვესო...

ახლო მომავალში უნდა „დაიბადოს“ რაღაც ახალ ჯურის ბანკი, რომლის ინიციატორათ ასახელებენ აქაურ მემამულე ტომარას.

„როსსისკი სანავოსნო საზოგადოების“ აქაურ კანტორის აგენტის თანაშემწეს, საზოგადოების ფული კაი ძალა „ქე იმასუქნია“!.. ამ სტრიქონების დამწერს სოხუმიდან ფოთს გასაგზავნი შეკვალებულის გვამისა გამაიმასიქა“—იმ ეაბატონმა შვიდმეტი მანეთი, როდესაც ათი-თორმეტი მანეთი უნდა აეღო...

სოხუმს დაბანაკებულ ჯარს, კიდევ იმდენივე მიემატებაო, ასე რომ სამხედრო უფროსობა ორასამდე იქნებაო.

შიდა რუსეთიდან კავკავის რკინის გზით ბაქოსკენ აუარებელი ჯარის კაცები და სხვა სამხედრო მასალები იგზავნებაო. საზოგადოთ რუს-ოსმალს, მომავალ ომის შესახებ, იქაური ყავახანების „ზავსეგდატაები“ და ბულვარში ცარიელ „პორტმონების“ დამგდებელნი,—ცხადათ და სიზმრადაც სულ ომზე ბოდვენ თუ რომელიმე მაგათისთანა „თავისუფალ მოაზრეს“, უთხარით: სადაური ომი, ვისთან ომი... ეხლანდელ დროში, განა წარმოსადგენია ვისმესთან ომი?!... თუ „ფათერეთი“ არ გაგიფუჭეს, გალანძღვასა ხომ ვერ გადარჩებით.

შავი-შვილი.

ტელეფონი ქუთაისის „კლუბში“.

—ტრ, ტრ, ტრ, ტრ . . . . . .

—ტრ, ტრ, ტრ . . . . ვინა ხართ? კ! პო! მერე?.... ვინ არი?!.. ჯერ ცოტა.... თქვენ ვინა ხართ?... ჰოოოო! უკაცრავათ საშა ბრძანდებით?! დიახ.... ერთმანეთს აკვდებიან... რა ბრძანეთ?... რომელმა მოიგოოო?... არც ერთმა... ვინა?!.... კალისტრატეეეე?!! მართალია ყვირის და ცხარობს ვაჭრებზე კითხულობთ?!.. ჰო! ერთმანეთს ატყვილებენ... მეფურნე გაყვლიფეს..... ლოტო ეხლავ დაიწყება... თქვენ არ მოხვიდეთ, არა!.. მედა ჩემმა ღმერთმა არც ღირს....

კალისტრატე უკვე მიდის ... ა! რატომაო მკითხავთ?! ჰო! კალისტრატე გულმოსულია ბიჭბუჭებით აივსო კლუბიო და აწი მისვლა აღარ ღირსო... ვინაა?! კატოო?!.. კარგი თუ მოვიდა გამოვგზავნი..... ვინაა?! ელენაა?! ჰო! ძალიან კარგი იმასაც გამოვგზავნით... ა! კი უთხარი, მარა ასე სთქვა დაესხა თავსლაფიო ხა! ხა! ხა! ძალიან კარგი, ნახვამდის... ტრ, ტრ, ტრ....

—ტრ, ტრ, ტრ . . . . . .

რიონელი.

ი ა ფ ო ბ ა

—

დარჩო. ფირუზ! საით მისდიხარ?

ფირუზა. დოროჟნოვთან. ვეშურები, სანამ დეშოვკა ,რ გამოუცხადებია, იქნება იაფად ვიყიდო რამე... თორემ ელთდე კიდევ მეორის აღდგომას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ავეია“-თ და ყია-მყრალთ.

—

ყია მყრალნო, ბრიყვ-თამამნო,
ბოროტებით სავსე გვამნო,
არ იფიქროთ ენა ბილწნო,
რომ ლანძღვითა ვითომ გვავნო!
არ გეგონოთ თქვენებრ ხრწნილი
ბევრსა ქონდეს ზნე და გემო,
უბადრუკნო რომ არ გესმით
ვინ აქოთ და ვინა გვემოთ.
გონებით ბნელ-თ, გრძნობა-მახინჯთ
გემარჯვებათ შაირები
ლანძღვა-თრევა, წიხლი, ტლინკი,
მტრობა ნაირ-ნაირები...
თავს გიდვიათ ჭორიკნობა,
თავხედობა, უტიფრობა,
ვის ებრძვით, ან ვის ქომაგობთ
ვის ეკუთვნის თქვენი ტრფობა!
ქართველობას თუ თაკილობთ,
მაშ რუსი ხართ? ფრანგ-ნემეცი?
(ღმერთმა სხვა ერს ნურცა მისცეს
თქვენებრ ფლიდი, თქვენებრ ბეცი!)
ლესეთ, ბასრეთ, ამახვილეთ,
მტრობა-შური პირადული,
ქანქრით უბე გაიტენეთ
გაიჟღინთეთ ჭუჭყით გული...
მოიმარჯვეთ, დაიგრძელეთ,
წაიმწვეტეთ რქები, კუდი,
ხალხის ერთგულთ მოამაგეთ
მიაყარეთ ქვა და გუნდი..

ნეოპინე.

ორ ცეცხლ შუა

(ანუ „უმაღლესი ატესტატი“)

—

— მეტად ცუდი საქმე დაემართა ვალ. გუნიას!

— რა საქმე, რა იყო?

— აი „ისრის“ რედაქტორობისათვის რომ დაა-ჯარიმეს.

— მერე და აკი განთავისუფლდა!

— ჰოდა, საქმეც ეგ არის! ახლა „ესდეკთა“ ხოროს ლოტბარები სიტყვით თუ კალმით, ქუჩა-ქუჩა თუ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში ხმა შეწყობილად მღერიან:—გუნია იმიტომ გაანთავისუფლეს, რომ რეაქციონერი არისო!..

— მაშ რა უნდა ექნა?

— ჯარიმა უნდა შეეტანა ხაზინაში!

— ას თუმნიან ჯარიმის გადახდას გუნია კი არა თვით ესდეკების „დაუშრეტელი“ კასაც ვერ შესძლებდა, თუნდაც რომ მეორე „ხარბინიც“ აღმოჩინათ, და ესეც არ იყოს, გუნიას, რომ ჯარიმა გადაეხადნა, მაშინ ხომ ბურჟუას უწოდებდნენ!

— ეგეც მართალია!..

— მაშ რა უნდა ექნა, როგორ დაეხწია თავი ესდეკური ორ ცეცხლ შუა მომწყვდეულსა!

— უნდა „ვირის აბანოში“ ჩამჯდარიყო...

— განა „ვირის აბანო“ ისეთი წმინდათა წმინდაა, საიდანაც „მოღვაწენი“ განწმენდილ გმირებად გამოდიან...

— რა მოგახსენო, მაგრამ ესდეკები საპყრობილეს „უმაღლეს ატესტატათ“ სთვლიან და ვინც კი ერთხელ ვირის აბანოში იჯდა ის უკვე „გმირთა“ გუნდს ეკუთვნის ..

— ვერაფერი გმირობაა ვირის აბანოში ჯდომა. ციხე და საპყრობილე მხოლოდ ერთს შემთხვევაშია საპატიო, რაიც ერთმა რუსის პოეტმა „დეკაბრისტმა“ რილეევმა მშვენიერად გამოსთქვა:

Тюрьма мнѣ въ честь, не въ укоризну,
За дѣло правое я въ ней...
И мнѣ-ль стыдится сихъ цѣпей,
Когда ношу ихъ за отчизну!...

ესდეკების „ოტჩიზნა“ — სამშობლო არა სწამთ და მიტომაც მათი „ატესტატიც“ ცოტა არ იყოს ყალბია და დაბალი ხარისხისაც!..

მონადირე.

არ ახალია, ძველია

—

დარჩო.— შენობას როდის დაიწყებ? ახლა კაი დროა.

ფირუზ.— მეც გულით მინდა, დარჩუას მზემ, მარა მეშინიან.

დარჩო.— ვა, დარდაკ, ერთობისა გეშინიან?

ფირუზ.— ერთობისა კი არა, ომისა მეშინიან. ომი რომ ატყდეს, ვაი თუ რამე მოხდეს...

დარჩო.— აქამდის ომი არ ყოფილა? რა უნდა მოხდეს? ფოდრადები სულ ჩვენ ხელში იქნება. ზეითუნიდან ერთი ათი-ათასი სომხის ოჯახი გადმოსახლდება. აქედან კიდე ასი-ათასი თათრის ოჯახი ოსმალეთში წავა. ბოლოს, ერთს ბერლინის ტრაქტატსაც დასწერამენ. სხვა რალა გინდა?

ფირუზ.— ეგ ჩვენ. ახლა სხვისას არ იტყვი?

დარჩო.— შენ სხვისა რა გენაღვლება?.. სხვამ რამდენიც უნდა თავში ქვა იხალოს.

ყვინჩილა და მზე

(არაკი)

გათენებისას ყვინჩილამ მამლის ხაზედ იყივლა: „თენდებაო!“

მერე ამომავალი მზე რომ ნახა, ფრთა ფრთასა ჰკრა და ქვეყანას ახარა:

„არიქა, მზე ამოვიყვანეო!“

რიშ ბიბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ციხიდან დედისადმი

დედაჩემო სალამს გიძღვნი საკანიდან შენი შვილი,
არ შეშინდე, მხნედ იყავი—არ დაიფრთხო ჩემზე ძილი...
გამჩნევ, გატყობ აქედანა, თვალი ცრემლით ამოგწვია,
ჯავრით, ნაღვლით მშობლის გული უმოწყალოდ დაგდაგვია...
მტარვალებთან არ წახვიდე, არ დაუწყო მათ ვედრება,
გაიგე რომ ხალხის ტანჯვა მათთვის არის ნეტარება!

—

ქვეყნის მტრები დღეს ლხინობენ, უხარიანთ გამარჯვება...
მაგრამ, დედი, ხალხის ტანჯვა, მათთაც შხამად შეერგება.
მართალია, იძახიან—მოძრაობა ჩავაქრეთო,
მოამბოხე, წინაღმდეგნი სულ ერთიან ავბარგეთო!..
მაგრამ, ალბათ ვერ შეგნეს, ისევ მოსდით უგნურება,
რომ ხელს უწყობს „მოძრაობას“—ძალადობა, ხალხის მტრობა!..

—

ჰოდა ასე, დედა ჩემო, გულს ნუ იტეხ, ნუ ღარ სტირი;
მტერთან მისვლით, ხვეწნა—თხოვნით აღარ შეირცხვინო პირი!
ჩვენ თუ ვიბრძვით, სწორეთ მისთვის, რომ არ ესმით მტრრბსა თხოვნა;
ერთად ერთი გზა ღა დაგვრჩა—ხელთ უფლების ბრძოლით შოვნა,
მაშ ნუ ნაღვლობ, დედაჩემო, თავი ძირს არ დაიხარო;
ფიქრი ნუ გაქვს, მოესწრობი; რომ შენც მალე გაიხარო!..

მ. გურული.

სამართალში გამოწვევა

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს და მით საშუალება მომცეთ სიმდიატორო სამართალში გამოვიწვიო ბ-ნი „ხოშბელდი“ „ნიშადურის“ 34 №-ში მოთავსებულის წერილის—„ლანჩხუთის ავარას“ გამო, რომელშიაც იმი ჭორების გავრცელებას მაბრალებს. ჩემის მხრით მოსამართლედ ვასახელებ გიორგი ტუსკიას. ხოშბელდიმ თავისი დაასახელოს. მედიატორების განაჩენი გაზეთში უნდა იქნას გამოცხადებული.

კ. წილოსანი.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის ქუჩაზეა, მუხნრასკია სახლი № 1.